



სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ძირითადი გამოწვევები კოოპერატივ ვაშლარას მახალითზე დაყრდნობით

რეზიუმე

საქართველოში გამოკითხულ იქნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი ვაშლარას მენეჯერი - მინდია ქავთარაძე. ინტერვიუს დროს ბატონმა მინდიამ გაგვიზიარა ინფორმაცია კოოპერატივის ბიზნეს სტრატეგიის, ფინანსური მენეჯმენტის, მუშახელის, დონორებთან ურთიერთობის და მიმდინარე გამოწვევების შესახებ. აღნიშნულ ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდა კოოპერატივი ვაშლარას ძირითადი გამოწვევების იდენტიფიცირება.

საკვანძო სიტყვები: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, კოოპერატივის გამოწვევები

შესავალი

სასოფლო-სამეურნეო კოოპერირება არის უნიკალური სამეწარმეო ფორმა, რომელიც მოიცავს ფერმერებს შორის ურთიერთთანამშრომლობას სხვადასხვა სარგებელის მიღების მიზნით. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შექმნით შესაძლებელია მიღწეულ იქნას წარმოების მდგრადი განვითარება, სურსათის უვნებლობა და აგრეთვე, ფერმერები უფრო მეტად დაცულენ იქნებიან სხვადასხვა რისკებისგან (ჯოუნსი და ტომპსონი 2009). ინდივიდუალური ფერმერისათვის საწარმოს დაარსება რთული ამოცანაა იმიტომ, რომ მას გააჩნია შეზღუდვები ფინანსების ხელმისაწვდომობაზე და წარმოების საშუალებებზე მაღალი ხარჯები (პესონენი 2001). იმისათვის, რომ ფერმერებმა გადალახონ გამოწვევები საჭიროა მათ ორგანიზება გაუკეთონ კოოპერატივის ჩამოყალიბებას (სულემანი 2009).

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ ვაშლარას მენეჯერთან ინტერვიუ შედგა 2016 წლის იანვარის თვეში. კოოპერატივის მენეჯერთან ინტერვიუსთვის წინასწარ შედგენილ იქნა კითხვარი, რომელიც მოიცავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს: საკონტაქტო ინფორმაცია, ინფორმაცია კოოპერატივის შესახებ, კოოპერატივის მუშახელი და წევრები, ფულის ბრუნვა და

კაპიტა კოლუაშვილი

დოქტორი, პროფესორი

ლაშა ზივზივაძე

სტუ-ს და მასარიკის

უნივერსიტეტის დოქტორანტი

(ჩეხეთის რესპუბლიკა)

მენეჯმენტი, მომხმარებლები და მიმწოდებლები, მიმდინარე გამოწვევები და კოოპერატივის მხარდაჭერა.

ინფორმაცია კოოპერატივ

ვაშლარას შესახებ

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი ვაშლარა დაარსდა 2014 წელს. იგი მდებარეობს ვანის მუნიციპალიტეტში, კერძოდ სოფელ დიხაშხოში. კოოპერატივი ვაშლარა ძირითადად აწარმოებს თაფლს, თაფლის არაყს და ცვილს.

წარსულის გამოწვევები

კოოპერატივი ვაშლარას შექმნის მთავარი მოტივაცია იყო: წარმოების ხარჯების შემცირება, ერთობლივი მუშაობით წარმოების ზრდა, ადამიანური რესურსების რაციონალურად და სწორად გამოყენება, საწარმოო მოწყობილობების ერთობლივად გამოყენება, ტრეინინგ პროგრამებში მონაწილეობის მიღება და გამოცდილების გაზიარება კოოპერატივის წევრებს შორის.

თავდაპირველად ფერმერები ფიქრობდნენ, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი იყო „კოლხოზის“ მსგავსი ორგანიზაცია, იმიტომ, რომ მათ არ გააჩნდათ ინფორმაცია თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ. ისინი ეჭვობდნენ, რომ თუ დაარეგისტრირებდნენ კოოპერატივს ერთ დღესაც სახელმწიფო წაართმევდა მათ ქონებას. ეს ნიშნავს, იმას, რომ ნდობა ფერმერსა და სახელმწიფოს შორის იყო ძალიან დაბალი.

კოოპერატივის წევრებს ჰქონდათ დაბალი ბიზნესის ცოდნა/კვალიფიკაცია და არ იცოდნენ როგორ ეწარმოებინათ მაღალი ხარისხის პროდუქცია. აგრეთვე, კოოპერატივის წევრებმა



არ იცოდნენ, რომელი მოწყობილობები გამოეყენებინათ წარმოებისათვის. მათ არ გააჩნდათ შესაბამისი დანადგარები/მოწყობილობები, რათა დაეწყეთ ბიზნესი.

კოოპერატივის წევრებს არ გააჩნდათ გამოცდილება ფინანსურ ანალიზში და არასდროს მიუღიათ მონაწილეობა ტრენინგებში ფინანსური მიმართულებით. მათ არ იცოდნენ, როგორ ჩატარებინათ თავლის ტესტირება ლაბორატორიაში და ამის შემდეგ სად გაეყიდათ წარმოებული პროდუქცია.

კოოპერატივ ვაშლარას გააჩნია ბიზნესის, მარკეტინგის და ბიუჯეტის გეგმა. აღნიშნული მიმართულებებით ძირითადად დახმარებას უწევს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები, როგორებიცაა მერსი კორპსი (Mercy Corps) და ადამიანი გაჭირვებაში (People in Need). ტრენინგ პროგრამებში კოოპერატივს დახმარებას უწევს ძირითადად მერსი კორპსი, ადამიანი გაჭირვებაში და საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია.

კოოპერატივ ვაშლარას მუშახელი

კოოპერატივ ვაშლარას დაქირავებული ჰყავს 31 მუშახელი, საიდანაც 11 მუშაობს სრულ განაკვეთზე, როგორც კოოპერატივის წევრები და 20 წარმოადგენს არაწევრ კოოპერატივის მუშახელს. ინტერვიუდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ კოოპერატივის მუშახელს ესაჭიროება კვალიფიკაციის ამაღლება. მათ მომწოდებელს უნდა მიიღონ სხვადასხვა ტრენინგ პროგრამებში, განსაკუთრებით კოოპერატივის სტრუქტურასა და პრინციპებს.

ფინანსების მართვა და საბანკო მომსახურება

2014 წელს, კოოპერატივის მოგებიდან ფული ნაწილდებოდა პაის წილის პროპორციულად. 2015 წელს, აღნიშნული შეიცვალა და დღესდღეობით კოოპერატივის მოგება ნაწილდება მეპაიეს ეკონომიკური მონაწილეობის მიხედვით. ასე, რომ დივიდენდი გადანაწილდება მეპაიეებზე და ამის შემდეგ მეპაიეებმა უნდა გადაწყვიტონ რა ოდენობით ფინანსური რესურსის რეინვესტირება მოახდინონ კოოპერატივის განვითარებისთვის.

კოოპერატივში გადაწყვეტილების მიღება ხდება საერთო კრებაზე თუ როგორ განაწილდეს მოგება. საერთო კრებაზე გამგეობის თამჯდომარე აცნობს წევრებს კოოპერატივის წლიურ მოგებას და მომავალი წლის გეგმებს. მომავალი

წლის გეგმები მოიცავს რა სახის ტექნიკა და მოწყობილობა უნდა იქნეს შესყიდული კოოპერატივის მიერ მისი განვითარებისთვის. კოოპერატივის თავმჯდომარე ნებაყოფლობით სთავაზობს კოოპერატივის წევრებს, რომ დივიდენდიდან მიღებული თანხა შეიტანონ კოოპერატივის რეინვესტირების ფონდში. რეინვესტირებული ფონდიდან კი მოხდეს ფინანსების მიზნობრივი ხარჯვა კოოპერატივის განვითარებისათვის. აღნიშნული შეთავაზება არის ნებაყოფლობითი, რათა კოოპერატივის წევრებმა განახორციელონ ფინანსების რეინვესტირება. კოოპერატივის წევრებმა მოგების 35% უნდა გადარიცხონ კოოპერატივის განვითარების ფონდში. კოოპერატივის განვითარების ფონდის მთავარ მიზანს წარმოადგენს კოოპერატივის განვითარება. გადაწყვეტილება საერთო კრებაზე ხდება უმრავლესობის ხმის მიცემის პრინციპის მიხედვით.

კოოპერატივ ვაშლარას გააჩნია ორი ტიპის საბანკო ანგარიში: კოოპერატივის საბანკო ანგარიში და აუცილებელი სარეზერვო განვითარების ფონდის ანგარიში. 2015 წელს, კოოპერატივმა ვაშლარამ გააკეთა განაცხადი ბანკიდან სესხის აღების თაობაზე. თუმცა, ბანკმა უარი განაცხადა სესხის გაცემაზე იმ არგუმენტით, რომ კოოპერატივს არ გააჩნდა მაღალი ლიკვიდობის უძრავი ქონება, რომელიც ბანკმა მოითხოვა.

მომხმარებელთან ურთიერთობა და პროდუქციის მიმწოდებლები

კოოპერატივი ვაშლარას მთავარი მომხმარებელია ინდივიდუალური მომხმარებლები ადგილობრივ ბაზარზე. იმისათვის, რომ კოოპერატივმა მიიღოს კონტრაქტი მომხმარებლისგან კოოპერატივი შემდეგი გამოწვევების წინაშეა: პროდუქციის შეფუთვა, პროდუქციის შესაბამისი რეკლამა, კოოპერატივს არ შეუძლია დიდი რაოდენობით პროდუქტის მიწოდება და შესაბამისი ხარისხის სერტიფიკატის არ არსებობა. კოოპერატივისთვის ძირითადი გამოწვევები პროდუქციის მიმწოდებლებთან შემდეგია: მიმწოდებლები არ იხდიან ნაღდი ანგარისწორებით და თანხის გადარიცხვას აგვიანებენ.

მიმდინარე გამოწვევები და კოოპერატივის მხარდაჭერა

კოოპერატივ ვაშლარას შემდეგი მიმდინარე გამოწვევები გააჩნია: მათ არ აქვთ ხარისხის მართვის სერტიფიკატი, მათი პროდუქტი არ არის ბრენდირებული, განათლების ნაკლებობა, კოოპ-



ერატივს არ შეუძლია მომხმარებელს მიაწოდოს დიდი რაოდენობის პროდუქცია და აგრეთვე ბაზარზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა.

საქართველოში ვაშლარა წარმატებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივია, თუმცა ბევრი გამოწვევის წინაშე დგას. უნდა აღინიშნოს, რომ კოოპერატივს დიდ დახმარებას და მხარდაჭერას უწევს სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები ფინანსური რესურსების და ტექნიკური დახმარების მეშვეობით. მთავრობიდან კოოპერატივმა მიიღო ძირითადი შემდეგი დახმარება: მუშახელისთვის კვალიფიკაციის ამაღლება და წარმოებისთვის აუცილებელი მოწყობილობების გადაცემა/შესყიდვა.

კოოპერატივი ვაშლარას წევრებმა მიიღეს მონაწილეობა სხვადასხვა ტრეინინგ პროგრამებში, რომელიც ეხება კოოპერატივის პრინციპებს, ფინანსურ ანალიზს და მენეჯმენტს. ტრეინინგ პროგრამები ორგანიზებულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სააგენტოს და სხვადასხვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ.

დასკვნა და ძირითადი გამოწვევები:

ინტერვიუს მიხედვით, რომელიც შედგა სასოფლო სამეურნეო კოოპერატივ ვაშლარას მენეჯერთან, გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი გამოწვევები:

- განათლების ნაკლებობა, განსაკუთებით ფინანსური ანალიზის მიმართულებით;
- იაფ აგრო სესხზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა;
- შესაბამისი ხარისხის მენეჯმენტის სერტიფიკატის არ ქონა;
- ბრენდირებისა და მარკეტინგის სტრატეგიის არ ქონა;
- კოოპერატივის პრობლემა მიაწოდოს ბაზარს დიდი რაოდენობით პროდუქცია;
- მიმწოდებლების მხრიდან ნაღდი ფულით ანაზღაურების არ გამოყენება;
- მიმწოდებლების მიერ წინასწარ განსაზღვრულ დროში ფულის გადახდის არ არსებობა;
- პროდუქციისთვის სუპერმარკეტების ქსელის ხელმისაწვდომობის ნაკლებობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

Jones, JR.H.B and J. C. Thompson. 1982. Agricultural Co-operation in the United States: Origin and current status. *Agricultural Administration* 11: 1 – 22.

Pesonen P. 2001. How farmers can best assist their members in CEECs after EU accession. Joint Workshop “Promotion of rural development through agricultural

cooperatives”. Budapest 17 - 20 June, 2001.

Suleman, Adam. Chambo. 2009. Agricultural Cooperatives: Role in Food Security and rural Development. Paper Presented to Expert Group Meeting on Co-operatives. Held on 28 – 30 April, 2009.

AGRICULTURAL COOPERATIVE MANAGER OF VASHLARA

PAATA KOGUASHVILI

E-mail: paata_koguashvili@hotmail.com

LASHA ZIVZIVADZE

Summary

This case study is based on the interview with agricultural cooperative manager of Vashlara – Mr. Mindia Kavtaradze in Georgia. In order to conduct the interviews specific questionnaire is established. The interview with Mindia was conducted in January, 2016. Mr. Mindia shared the information about the business strategy, financial management, relations with customers and suppliers, current challenges, employment, relations with national government, international donors and with other agricultural cooperatives. Based on the case study and interview it should be to identify the key challenges of agricultural cooperative.

Keywords: Agricultural Cooperative, Case Study, Challenges in Cooperation